

ნოზოკომიური ინფექციების პრევენცია აჭარის რეგიონის
სამედიცინო დაწესებულებებში (2017-2021წწ)

მაგისტრანტი: თინათინ კორძაია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბიზნესის,
განათლების და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე, მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირმა ბურჯანაძე, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლების ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ხელმოწერა: თინათინ კორძახია

08.04.2023

აბსტრაქტი

საქართველოში ინფექციურ დაავადებათა ტვირთი საკმაოდ მაღალი და მძიმეა, თუმცა ამ მდგომარეობას უფრო მეტად ამძიმებს ისეთი ინფექციების ჯგუფი, რომელიც შეძენილია ჰოსპიტალური დაწესებულების სტაციონალურ განყოფილებებში კლინიკაში დაწვენიდან 48 საათის შემდეგ. აღნიშნული ინფექციის გამოხატული სიმპტომკომპლექსი პაციენტს არ აღენიშნებოდა მგრძობიარენი არიან ნოზოკომიური ინფექციების ზემოქმედების მიმართ.

ნოზოკომიურ ინფექციებს მიეკუთვნება: საშარდე გზების ინფექციები, სასუნთქი გზების სამედიცინო სერვისზე მიმართვის მომენტში და დაინფიცირება მოხდა კლინიკაში მიყვანის შემდეგ. იგი ცნობილია ნოზოკომიური ინფექციების სახელწოდებით.

ნოზოკომიური ინფექციების ჯგუფი სიკვდილიანობის ერთ-ერთ სერიოზულ მიზეზს წარმოადგენს. ისინი შეიძლება გამოწვეული იყოს ბაქტერიებით, ვირუსებით, სოკოებით და სხვა მიკროორგანიზმებით. ჰოსპიტალიზირებული პაციენტები მათი დასუსტებული იმუნური სისტემის ფონზე, ასევე ინვაზიური ჩარევებისა და კლინიკაში ხანგრძლივი დაყოვნების გამო უფრო მეტად

ინფექციები, ქირურგიული ჩარევის შედეგად აღმოცენებული ინფექციები და სხვა. მათ თავიდან ასაცილებლად, ჯანდაცვის სისტემა და თითოეული კლინიკა მიმართავს სხვადასხვა უსაფრთხოების ზომებს, როგორებიცაა: ხელების სათანადო ჰიგიენა, სამედიცინო აღჭურვილობის დეზინფექცია, ინფიცირებული პაციენტების იზოლაცია და ანტიბიოტიკების მიზნობრივად გამოყენება.

ნაშრომში განხილულია ნოზოკომიური ინფექციის პრევენციისა და კონტროლის მეთოდები აჭარის სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებებში.

ნოზოკომიური ინფექციების გართულების სხვადასხვა ფორმების შემთხვევაში მსოფლიოში ლეტალობა შეადგენს 3.5%-60%-ს, ამიტომ, მოცემული ნაშრომის მიზანს

შიდა ინფექციების კონტროლისთვის საჭირო ბაზისური თეორიული ცოდნის და კლინიკური უნარ-ჩვევების შეფასება და შემდგომი სწორი ტაქტიკისთვის აჭარის რეგიონში შექმნილი მდგომარეობის აღწერა და ანალიზი წარმოადგენს.

მნიშვნელოვანია, სამედიცინო პერსონალმა წარმატებით შეძლოს პროცესის მართვა, ინფექციის კონტროლის შესაბამისად ეთიკური და სამართლებრივი ასპექტების გათვალისწინებით. რეტროსპექტულ, აღწერილობით ანალიზთან ერთად ჩატარდა თვისებრივი კვლევა. კვლევისთვის მონაცემების შეგროვების მიზნით შეირჩა ჩალრმავებული ინტერვიუს და ანკეტირების მეთოდი. კვლევაში მონაწილეობა მიიღო აჭარის რეგიონის ჯანდაცვის მუშაკმა, ეპიდემიოლოგმა, კლინიცისტმა და მედ-პერსონალმა.

საკვლევი ჰიპოთეზა - სამედიცინო პერსონალს არ აქვს სრულყოფილი ცოდნა ნოზოკომიური ინფექციების პრევენციისა და მართვის შესახებ არსებული პრობლემის თაობაზე.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები: ნოზოკომიური ინფექციები, აჭარის რეგიონი, სამედიცინო პერსონალი.

Abstract

In Georgia, the rate of infectious diseases is quite high and severe, however this situation is aggravated more by the group of infections associated with medical services, which are developed in stationary medical institutions 48 hours after hospitalization and not manifested in a manifest form at the time of the patient's application to the medical service or were not in the incubation

period. It is one of the serious causes of death. Nosocomial infections can be caused by bacteria, viruses, fungi, and other microorganisms. Patients who are hospitalized or receiving medical treatment are more susceptible to these infections due to weakened immune systems, invasive procedures, and prolonged exposure to healthcare settings.

Common types of nosocomial infections include urinary tract infections, respiratory tract infections etc. To prevent these infections, healthcare facilities take various measures such as proper hand hygiene, disinfection of equipment, isolation of infected patients and appropriate use of antibiotics.

The purpose of this work is to evaluate the basic theoretical knowledge and clinical skills necessary for the control of internal infections, and to describe and analyze the situation created in the Adjara region for further correct tactics. So, the medical personal successfully manage the process in accordance with infection control standards, taking into account ethical and legal aspects. The methodological basis of the research is qualitative research (in-depth interview; group interview). As a result of the preliminary research, the hypothesis is confirmed that the medical staff does not have complete knowledge of the existing guidelines for the prevention and management of nosocomial infections, as well as the rules of sterilization and disinfection are not fully followed.

Key words: nosocomial infections, Adjara Region, Medical Staff